ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის „ა” მ/რ გიმნაზიის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

შ.პ.ს. „ახალი ქართული გიმნაზია.” – მისი დირექტორი მაია არაბული ს/კ 200036497 და ფიზიკური პირის ჯუმბერ ვაშაკიძეს შორის პ/ნ-01015020228 მიერ 2014 წ. 11 ივლის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული იქნა ზემოაღნიშნულ მისამართზე შენობის ვიზუალური დაკვირვება-გამოკვლევა.

„ახალი ქართული გიმნაზია“-ის ვიზუალური დაკვირვება-გამოკვლევამ გვიჩვენა, შენობის ბლოკი ოთხსართულიანია სარდაფით. **სურ №1.**



სურ №1.

იგი აშენებულია დაახლოებით მე-20 საუკუნის II ნახევარში. სარდაფის დათვალიერებიდან ნათლად ჩანს, რომ საძირკველი ეფუძნება ძირითად ქანებს.

ის მიეკუთვნება მსხვილპანელოვან ნაგებობას, ანუ რკინაბეტონის კედლები შეკრულია ყოველ სართულზე რკინაბეტონის სარტყელებით, სარტყელებს ყოველ სართულზე ეყრდნობა და გამონოლითებულია გადახურვის ღრუტანიანი სიმკარებით.

გარე ფასადზე შეიმჩნევა ნალესის ჩამონაცვენები **სურ №2.** რომელიც ვერ გამოიწვევს ნაგებობის მზიდი ელემენტების დაზიანებას.



სურ №2.

გარე ფასადისა და შიდა ინტერიერების დათვალიერებამ გვიშვენა, რომ ნაგებობა არ განიცდის ჯდენას, არ არის წარმოშობილი რღვევითი ბზარები. **სურ №3; სურ №4 და სურ. №5.**

კიბის უჯრედის პირველი და მეოთხე სართულის ჩათვლით, დაკვირვების შედეგად, აქაც არ შეიმჩნევა საერთოდ ბზარები, რომელიც ზიანს მიაყენებდა მთლიანად კიბის უჯრედის სისტემას. **სურ №6.**



სურ №3.



სურ №4.



სურ №5.



სურ №6.

სახურავის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ გადახურვა წარმოადგენს ბრტყელ გადახურვას **სურ №7.**



სურ №7.

შესაძლებელია სახურავის გასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისაგან

დასკვნები და რეკომენდაციები: სახურავზე მშენებლობის პერიოდში მკაცრად უნდა იყოს დაცული შრომის უსაფრთხოების წესები.

სართულის დაშენების შემთხვევაში უნდა შედგეს შესაბამისი არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები.

იატაკად გამოყენებულ იქნას ტექნიკური სართულის იატაკი.

არქიტექტურულ ნახაზებთან შესაბამისად კონსტრუქციად მიღებულ იქნას ლითონის კარკასის კონსტრუქციები (მსუბუქი კონსტრუქციები) რომლის შენობაზე დატვირთვა გაცილებით ნაკლები იქნება ვიდრე რკინაბეტონის კარკასისაგან გამოწვეული.

ზემოთ აღნიშნული დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე ნება ეძლევა მეხუთე (ერთი) სართულის ლითონის კონსტრუქციების მოწყობას, რაც ზიანს არ მიაყენებს მთლიანად ნაგებობის მზიდუნარიანობასა და მდგრადობას.

დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**